საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

21/01/2026

MES 9 26 0000047131

გადაწყვეტილება

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის

სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის №1139308 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შეფასება.

2.2. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ:

ა) 4.5 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია - *"რეკომენდებულია, შემუშავდეს გრძელვადიანი (5–7 წლიანი) ფინანსური განვითარების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსებისა და კვლევითი საქმიანობის დაფინანსების სტრატეგიებს“,* გადავიდა რჩევაში.

ბ) 4.5 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია - *"რეკომენდებულია, ინვესტიციების განაწილებისას უპირატესობა მიენიჭოს პრაქტიკული სწავლების ინფრასტრუქტურის გაძლიერებას, მათ შორის კლინიკური ბაზებისა და OSPE/OSCE შეფასების სივრცეების მოწყობას“,* გააუქმა.

შედეგად 4.5 კომპონენტის შეფასება ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისია მოთხოვნებთან". რამაც გამოიწვია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება, კერძოდ, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", განისაზღვრა როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან''.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 30 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის №46590 ოქმის №2 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1.1. გამოვლენილი შინაარსობრივი და ლოგიკური შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდებულია, სისტემატურად გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის კურიკულუმის რუკა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსი/ საგანი, რომელიც ხელს უწყობს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას, სწორად და თანმიმდევრულად აისახოს ორივე დოკუმენტში მათთვის განსაზღვრული მიღწევის დონის შესაბამისად (გაცნობა, გაღრმავება ან განმტკიცება). აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს პროგრამის ძირითადი დოკუმენტაციის სრულ შიდა თანხვედრას, ლოგიკურ შესაბამისობას და ოპერაციულ სანდოობას (1.3).
1.2. რეკომენდებულია, გადაიხედოს „პრაქტიკული სწავლება 3“და „პრაქტიკული სწავლება 4“- შინაარსობრივი გადაფარვის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, ხოლო „პრაქტიკული სწავლება 4“გაფართოვდეს ისე, რომ მოიცვას მეფრინველეობის, მეფუტკრეობისა და თევზის მეურნეობის შესაბამისი ფერმები/საწარმოები, სადაც სტუდენტები შეძლებენ პრაქტიკული გამოცდილების შეძენას. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს მეანობისა და რეპროდუქციული დაავადებების კომპლექსურ სწავლებას და სტუდენტებს საშუალებას მისცემს მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება სხვადასხვა სახეობებთან მუშაობის პროცესში (2.2).
1.3. რეკომენდებულია, გაძლიერდეს კლინიკური სწავლების ბაზა - შეიქმნას საუნივერსიტეტო სასწავლო ვეტერინარული კლინიკა ან მუდმივმოქმედი ამბულატორია, რომელიც გახდება პრაქტიკული სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი (4.4).
1.4. რეკომენდებულია, სიმულაციური სწავლების გარემოს გაუმჯობესების მიზნით შეიქმნას OSPE/OSCE ტიპის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების ინფრასტრუქტურა საჭირო ტექნიკური და სასწავლო რესურსებით (4.4).
1.5. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურებმა გააძლიერონ თანამშრომლობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან და უზრუნველყონ მათი პროფესიული შესაძლებლობების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დახვეწას (5.1).

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 30 დეკემბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის

გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვეტერინარია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება № 1344943 თარიღი 24.10.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ვეტერინარია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ვეტერინარიის მაგისტრი Master of Veterinary Medicine (MVM)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0841 ვეტერინარია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	308
14	განხორციელების ადგილი	ჯანაშიას ქუჩა #14, ზუგდიდი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, 2100, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	30.12.2025
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	30.12.2032